196713

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 6 (317)

1967 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (317) ივნისი 1967 წელი

10-408

შინაარსი

განყოფილება პირველი

349. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

350. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-13 მუხლის შევსების თაობაზე.

351. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთერთმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ.

352. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულ იმ პირების იძულებითი მკურნალობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ მკურნალობას.

353. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ. (დებულება თან ერთვის).

354. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ. (დებულება თან ერთვის).

355. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების ტრანსკრიფციის შესახებ.

356. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რწმუნებათა ვადის გაგრძელების შესახებ.

357. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გადარქმევის შესახებ.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

358. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენტეხის რაიონიდან უშგულის სასოფლო საბჭოს გამოყოფისა და მესტიის რაიონისათვის მიკუთვნების შესახებ.

განკოფილება მეორე

359. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

360. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

361. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ჭელიძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

362. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ინჟინრებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

363. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილების ქვეგანყოფების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

364. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ზ. უზნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

365. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. თოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

366. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ბუხნიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

367. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

368. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

369. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ბ. ლაშქარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

370. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ზ. ცირეკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

371. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ზ. ქიტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

372. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

373. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ვ. ასლანიდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

374. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ტ. კინწურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

349 „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში“ შემდეგი ცვლილებანი:

38-ე მუხლში სიტყვები „ღამის 12 საათამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „საღამოს 10 საათმდე“.

47-ე მუხლში სიტყვები „ღამის 12 საათზე“ შეიცვალოს სიტყვებით „საღამოს 10 საათზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

350 ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-13 მუხლის შევსების თაობაზე

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-11 მუხლის შევსების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შევსებულ იქნეს „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1962 წ., № 11, მუხ. 159) მე-13 მუხლი შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილით:

„სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქეთა დაჯარიმების უფლება, იმ საქმეთა განხილვისას, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს ექვემდებარება, საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ კანონმდებლობამ შეიძლება მიანიჭოს არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ, საქალაქო კომისიას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

№ 133

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

351 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეთერთმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ორგანიზებულად და დაწესებულ ვადებში ჩატარდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების მეთერთმეტე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები ორგანიზებულად და დაწესებულ ვადებში ჩატარდა. სესიებზე არჩეული იქნა ერთი საოლქო, 67 რაიონული, 48 საქალაქო, ქალაქ თბილისის 7 რაიონული, 909 სასოფლო და 48 სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შემადგენლობა. თუ მეათე მოწვევის საბჭოების პირველ სესიებზე აღმასკომების შემადგენლობაში არჩეული 7.375 დეპუტატიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 38,9%-ს, მეთერთმეტე მოწვევის საბჭოების პირველ სესიაზე აღმასკომების შემადგენლობაში არჩეულ 7.496 დეპუტატიდან უმაღლესი განათლება აქვს 41,5%-ს. თუ ადრე აღმასკომების თავმჯდომარეებიდან უმაღლესი განათლება 28,6% ჰქონდა, ამჟამად აღმასკომის თავმჯდომარეთა 32,1%-ს აქვს უმაღლესი განათლება.

მაიაკოვსკის რაიონის ობჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. გ. სირბილაძე, რომელიც ადრე მუშაობდა რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგედ, სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — ამხ. ა. რობაქიძე, რომელიც ადრე მუშაობდა საშუალო სკოლის დირექტორად, სიღნაღის რაიონის ვაქირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — ამხ. ბ. ვარდიაშვილი, რომელიც მანამდე მუშაობდა პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორად, გორის რაიონის ბერბუკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — ამხ. ხ. ყაყიტაშვილი, რომელიც ადრე მუშაობდა საბჭოთა მეურნეობის მთავარ ეკონომისტად, გარდაბნის რაიონის სოღანლუღის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ — ამხ. ბ. კასარელი, რომელიც მანამდე კრწანისის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო და სხვა.

ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 6.233 მუდმივი კომისია, რომლებშიც არჩეულია 42.921 დეპუტატი ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 89,1%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრგან ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე ორგანიზაციულ საკითხთან ერთად განხილული იქნა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები. ასე მაგალითად, საგარეჯოს რაიონული საბჭოს პირველ სესიაზე განხილულ იქნა საკითხი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის სოფლების კეთილმოწყობის შესახებ; დუშეთის რაიონული საბჭოს პირველ სესიაზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულების — „იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ; სამტრედიის რაიონული საბჭოს სესიაზე — რაიონში ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ და სხვა.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა ცალკეულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ რაიონში სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად და მდივნებად არჩეული იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც თავისი განათლებით, მუშაობის გამოცდილებით და უნარით ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნილებებს (ქარელის, თეთრიწყაროსა და სხვა რაიონები).

909 სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან 69-ს არასრული საშუალო განათლება აქვს, ხოლო 23-ს — დაწყებითი.

ზოგგან სათანადო ყურადღება არ ექცევა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებში ქალების არჩევის საკითხს. 957 სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარიდან ქალია 36. წალენჯიხის, მაიაკოვსკის და ცაგერის რაიონული საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში არცერთი ქალი არ არის არჩეული, ხოლო ადიგენის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ლანჩხუთის, მახარაძის და ჩოხატაურის რაიონებში, არცერთი ქალი არ არის არჩეული ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის წევრად.

ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების პირველ სესიებზე არ შეუქმნიათ საგეგმო კომისიები. ზოგიერთმა აღმასკომმა რაიონული საბჭოს პირველ სესიებზე შექმნა ისეთი სამმართველოები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის კონსტიტუციით. მაგალითად, ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, კომუნალურ საწარმოთა კომბინატი და კინოქსელის დირექცია. მახარაძის რაიონული საბჭოს პირველ სესიაზე შექმნეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და დაამტკიცეს რაიონის ინჟინერ-არქიტექტორი. ლენტეხის რაიონულმა საბჭომ აღმასკომთან შექმნა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, კომუნალური მეურნეობის საწარმოო კომბინატი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო და დაამტკიცა ამ კომბინატების დირექტორები და სამმართველოს უფროსი.

ასეთივე დარღვევა აქვთ ბოლნისის, ბოგდანოვკის და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲓᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ „ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ“, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ. ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ, ᲑᲝᲓᲒᲐᲓᲜᲝᲒᲯᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲗᲐᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲡ ᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ. ᲐᲮᲚᲘᲗᲔᲡ, ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ, ᲚᲐ�გᲝᲓᲔᲮᲘᲡ, ᲡᲐ�გᲐᲠᲯᲝᲡ, ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲘᲐᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲘᲣᲯᲘᲤᲝ-ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ **ᲐᲓᲒᲔᲜᲡ:**

1. ᲓᲐᲔᲕᲐᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ:

Ა) ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲖᲔ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1967 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ;

Ბ) ᲛᲝᲠᲘᲒ ᲡᲔᲡᲘᲝᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲘᲜᲯᲝᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲝᲑᲘᲠᲘᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲝᲑᲖᲔ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲧᲒᲐᲜᲔᲑ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲝᲑᲐᲨᲘ;

Გ) ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ, ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚ-ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲭᲘᲠᲓᲠᲝᲓ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝᲗ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲡᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲩᲐᲐᲑᲐᲜ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ;

Დ) ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲝᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲗᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲒᲜᲝ ᲝᲚᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲪᲜᲝᲜ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲜᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲐᲑᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐᲨᲘ;

Ე) ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲜ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲑᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ, ᲛᲐᲗᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲝᲜ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲐ, ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡᲐ;

Ვ) ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲡ�წᲐᲕᲚᲝᲜ ᲡᲐᲮᲐᲚᲑᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲛᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ, ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐ-

ხონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ზ) საბჭოებსა და მოსახლეობას შორის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისა და საბჭოების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით, რეგულარულად ჩაატარონ სოფლისა და დაბის მოსახლეობის კრებები (ყრილობები) და მოქალაქეთა განსახილველად გამოიტანონ სოფლის და დაბის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, გააცნონ მოსახლეობას საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

2. დაეკალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (მ. ბაღათურია) უფრო მეტი დახმარება გაუწიოს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

352 ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულ იმ პირების იძულებითი მკურნალობის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ მკურნალობას

იმის გამო, რომ ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულნი ხშირად თავს არიდებენ მკურნალობას, რითაც დაავადების საფრთხეს უქმნიან მათ გარშემო მყოფ პირებს, ამასთანავე ითვალისწინებს რა, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური პირობები და მედიცინის უახლესი მიღწევები შესაძლებელს ხდიან ტუბერკულოზის დაავადების სრული ლიკვიდაციისათვის წარმატებით ბრძოლას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს სავალდებულო მკურნალობა ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულ ყველა პირისათვის.

2. ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პირები, რომლებიც თავს არიდებენ სტაციონარულ მკურნალობას, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით უნდა გაიგზავნონ იძულებით სამკურნალოდ სპეციალური რეჟიმის სამკურნალო დაწესებულებებში, რომლებიც ამ მიზნისათვის გამოყოფილი აქვს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

საკითხს ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული იმ პირების იძულებითი ჰოსპიტალიზაციის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ მკურნალობას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების შუამდგომლობით და იმ პირის თანდასწრებით, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, განიხილავს სახალხო სასამართლო ავადმყოფის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არაუგვიანეს 7 დღის ვადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს დადგენილება იძულებითი ჰოსპიტალიზაციის ან ამ ღონისძიებაზე უარისთქმის შესახებ არ გასაჩივრდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტდეს ზედამხედველობის წესით.

სასამართლოს დადგენილებას შეასრულებენ მილიციის ორგანოები.

3. მასლებს იძულებითი ჰოსპიტალიზაციის შესახებ ამზადებენ და სასამართლოში აგზავნიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

4. ავადმყოფის იძულებითი ჰოსპიტალიზაციის დროს კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს მისი ქონების თუ ოჯახის არასრულწლოვანი და არაშრომისუნარიანი წევრების ინტერესების დაცვის საკითხები.

შრომითი მოწყობა მოქალაქეებისა, რომლებიც დაამთავრებენ იძულებითი ჰოსპიტალიზაციის ვადას, როგორც წესი, უნდა მოხდეს ადრინდელ სამუშაო ადგილას და ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

5. იძულებითი ჰოსპიტალიზაცია შეწყდება იმ სამკურნალო დაწესებულების გადაწყვეტილებით, სადაც ავადმყოფი იმყოფება განსაკურნავად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ამ ბრძანებულების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

7. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1967 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

353 საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის
ბრძანებულებით

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲗᲐᲕᲘ I

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანაა — გარიგებათა გაფორმებისა და სხვა სანოტარო მოქმედებათა საშუალებით განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება, ხელი შეუწყოს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და დაიცვას მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, აგრეთვე სხვა კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

მუხლი 2. სახელმწიფო სანოტარო კანტორები იქმნება სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად.

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის, ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედებებს ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მუხლი 3. სახელმწიფო სანოტარო კანტორები მოვალენი არიან შეასრულონ შემდეგი სანოტარო მოქმედებანი:

1. დაამოწმონ გარიგებები (ხელშეკრულებები, მინდობილობები, ანდერძები);

2) მიიღონ ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად;

3) გასცენ მოწმობები მემკვიდრეობის უფლების შესახებ;

4) გასცენ მოწმობები საკუთრების უფლების შესახებ მეუღლეთა საერთო ქონების წილზე;

5) გაუკეთონ საბუთებს სააღსრულებო წარწერები;

6) ყადაღა დაადონ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;

7) დაამოწმონ საბუთებისა და მათი ამონაწერების ასლების სისწორე;

8) დაამოწმონ საბუთებზე ხელის მოწერის სინამდვილე;

9) დაამოწმონ საბუთების თარგმანის სინამდვილე;

10) დაამოწმონ ფაქტი, რომ მოქალაქე ცოცხალია;

11) დაამოწმონ გარკვეულ ადგილზე მოქალაქეთა ყოფნის ფაქტი;

12) დაამოწმონ მოქალაქისა და ფოტოსურათზე გამოსახული პირის იგივეობა;

№ 8 ეროვნული ბიბლიოთეკა

13) დაამოწმონ საბუთების წარდგენის დრო;

14) აწარმოონ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა;

15) შეასრულონ საზღვაო პროტესტები;

16) გადასცენ მოქალაქეთა და დაწესებულებათა განცხადებები სხვა მოქალაქეებსა და დაწესებულებებს;

17) მიიღონ დეპოზიტად ფულადი თანხები და ფასიანი ქაღალდები;

18) შეასრულონ თამასუქების პროტესტები;

19) წარადგინონ ჩეკები გასანაღდებლად და დაამოწმონ ჩეკების გაუნაღდებლობა;

20) მიიღონ საბუთები შესანახად;

21) გასცენ მოწმობა შენობის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ;

მუხლი 4. იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორები, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან შეასრულონ შემდეგი სანოტარო მოქმედებანი:

1) დაამოწმონ გარიგებები (ხელშეკრულებები თანხით არაუმეტეს 600 მანეთისა, ანდერძები, მინდობილობები), გარდა იმ მინდობილობისა, რომელიც შეეხება საზღვარგარეთ მოქმედების შესრულებას;

2) მიიღონ ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად;

3) ყადაღა დაადონ შენობის გასხვისებაზე;

4) დაამოწმონ საბუთების და მათი ამონაწერების ასლების სისწორე;

5) დაამოწმონ საბუთებზე ხელმოწერის სინამდვილე;

6) გადასცენ მოქალაქეთა და დაწესებულებათა განცხადებები სხვა მოქალაქეებსა და დაწესებულებებს;

7) გააკეთონ სააღსრულებო წარწერები;

8) დაამოწმონ საბუთის წარდგენის დრო;

9) მიიღონ საბუთები შესანახავად;

10) დაამოწმონ მოქალაქისა და ფოტოსურათზე გამოსახული პირის იგივეობა.

მუხლი 5. სახელმწიფო სანოტარო კანტორებში სანოტარო მოქმედებებს ასრულებენ უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსი, უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსის მოადგილე და სახელმწიფო ნოტარიუსები.

სანოტარო მოქმედებებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში ასრულებენ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მდივანი, რომელსაც შესაბამისი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დავალებული აქვს სანოტარო ფუნქციების შესრულება.

მუხლი 6. სახელმწიფო ნოტარიუსები სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებებით, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების მიერ მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტებით და ამ დებულებით.

სახელმწიფო ნოტარიუსები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იყენებენ უცხოეთის სამართლის ნორმებს.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

შენიშვნა: ამ მუხლში, და დებულების შემდგომ მუხლებში, ტერმინი „სახელმწიფო ნოტარიუსი“ გულისხმობს აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იმ თანამდებობის პირთ, რომლებსაც დავალებული აქვთ სანოტარო მოქმედებათა შესრულება.

მუხლი 7. სახელმწიფო ნოტარიუსი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, რათა მათი იურიდიული გაუთვითცნობიერებლობა ან სხვა ამგვარი გარემოება მათ საზიანოდ არ იქნეს გამოყენებული.

მუხლი 8. სახელმწიფო ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას თუ აღმოაჩენს ცალკეულ თანამდებობის პირთა ან მოქალაქეთა მიერ კანონების ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევებს ან არსებით ნაკლოვანებებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში, ამის შესახებ აცნობებს შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, თანამდებობის პირთ ან მშრომელთა კოლექტივებს, რათა მათ მიიღონ სათანადო ზომები გამოვლინებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მუხლი 9. საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სანოტარო კანტორების საქმიანობას ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და ავტონომიური ოლქის სასამართლო.

მუხლი 10. სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წარდგენით.

თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში ერთ-ერთი სანოტარო კანტორა შეიქმნება როგორც პირველი სანოტარო კანტორა.

მუხლი 11. სახელმწიფო სანოტარო კანტორის შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ამ კანტორებისათვის დადგენილი საშტატო ერთეულების ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 12. სახელმწიფო ნოტარიუსებად დაინიშნებიან ისეთი პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი იურიდიული სასწავლებლები დაამთავრეს, დაინიშნებიან სახელმწიფო ნოტარიუსებად მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი სანოტარო კანტორაში გაივლიან 6 თვის სტაჟირებას.

მუხლი 13. უფროს სახელმწიფო ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებსა და სახელმწიფო ნოტარიუსებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის რაიონებსა და ქალაქებში უფროს სახელმწიფო ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებსა და სახელმწიფო ნოტარიუსებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ნოტარიუსებს არ შეუძლიათ შეთავსებითი მუშაობა სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, გარდა მასწავლებლობისა და სამეცნიერო მუშაობისა.

მუხლი 15. სანოტარო კანტორებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და დასახელებულია კანტორა.

მუხლი 16. სანოტარო კანტორების შენახვა ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხარჯთაღრიცხვით.

თ ა ვ ი II

სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი

მუხლი 17. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი და ფორმა განსაზღვრულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობებით, აგრეთვე ამ დებულებით.

მუხლი 18. სანოტარო მოქმედება შესრულებულ უნდა იქნეს სანოტარო კანტორის ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შენობაში.

ცალკეულ შემთხვევებში, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო ნოტარიუსს, აგრეთვე თანამდებობის პირს, რომელიც ასრულებს ნოტარიუსის მოვალეობას, შეუძლია სანოტარო მოქმედება შეასრულოს დაინტერესებული პირის სამყოფელი ადგილის მიხედვით, თუ მას საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ინვალიდობა და ა. შ.) არ შეუძლია გამოცხადდეს სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მუხლი 19. სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ყველა სანოტარო კანტორაში, გარდა შემდეგი გამონაკლისისა:

1. შენობათა გასხვისებისა და გირავნობის ხელშეკრულების დამოწმება ხდება ამ შენობათა ადგილსამყოფელის მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ხელშეკრულებანი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში მიცემის შესახებ დამოწმდება მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფელის მიხედვით;

3. შენობების ყადაღის დადება წარმოებს შენობის ადგილსამყოფელის მიხედვით;

4. სამკვიდრო ქონების დაცვა და მოწმობის გაცემა მემკვიდრეობის უფლების და ქონების ბეითალმანობის შესახებ ხდება მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით. თუ ცნობილი არ არის მემკვიდრეობის გახსნის ადგილი, მოწმობა მემკვიდრეობის უფლებისა და ბეითალმანობის შესახებ შეიძლება გაიცეს სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

5. თამასუქის გაპროტესტება გაუნაღდებლობის ან გასანაღდებლად მიუღებლობის გამო, ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება, ფულის მიღება დეპოზიტად წარმოებს გადახდისათვის დადგენილი ადგილის მიხედვით.

მუხლი 20. სახელმწიფო ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესასრულებლად არ მიიღებს საბუთებს, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგება ან შეიცავს მოქალაქეთა პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს.

მუხლი 21. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსი არკვევს როგორც გარიგებაში მონაწილე, ისე ყველა იმ პირის ვინაობას და ხელისმოწერის სინამდვილეს, რომელიც მიმართავს ნოტარიუსს სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის.

სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგებანი და სხვა საბუთები ხელმოწერილ უნდა იქნეს სახელმწიფო ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ ხელმოწერა შესრულებულია სახელმწიფო ნოტარიუსის დაუსწრებლად, მაშინ ხელისმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია არ მოითხოვოს მისთვის ცნობილი სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა პირადად გამოცხადება, თუ მათი ხელისმოწერის სინამდვილე ეჭვს არ იწვევს.

მუხლი 22. სანოტარო მოქმედება შესრულებულ უნდა იქნეს ყველა აუცილებელი საბუთის წარმოდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს.

სანოტარო მოქმედებათა შესრულება შეიძლება გადადებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან აუცილებელი ცნობების ან საბუთების გამოთხოვა ან საბუთების გაგზავნა ექსპერტიზისათვის (ამ დებულების 26-ე და 60-ე მუხლები).

მუხლი 23. სანოტარო წესით დასამოწმებელი საბუთების ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით, თარიღი და ვადა, რომელიც შეეხება საბუთის შინაარსს, ერთხელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვებით, ხოლო მოქალაქეთა დასახელების დროს სრულად უნდა იქნეს ნაჩვენები მათი გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე იურიდიული პირის სახელწოდება და მისი ორგანოების ადგილსამყოფელი.

მუხლი 24. თუ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ნოტარიუსს მიმართა პირმა, რომელმაც არ იცის ის ენა, რომელზედაც დაწერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სათანადო საბუთი, საბუთის ტექსტი მას უნდა გადაუთარგმნოს სახელმწიფო ნოტარიუსმა ან იმ პირმა, რომელსაც სახელმწიფო ნოტარიუსი იცნობს, როგორც მთარგმნელს.

იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლია ხელი მოაწეროს სათანადო საბუთს, მისი დავალებით ხელს აწერს სხვა პირი, სახელმწიფო ნოტარიუსის თანდასწრებით.

თუ მოქალაქეს არ შეუძლია ხელი მოაწეროს იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია საბუთი, ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

მუხლი 25. იმ პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა აცნობოს უარის მოტივები და მიუთითოს შესაბამისი კანონი, აგრეთვე განუმარტოს გასაჩივრების წესი, ხოლო თუ პირი მოითხოვს — უარის მოტივები სახელმწიფო ნოტარიუსმა უნდა ჩამოაყალიბოს წერილობითი ფორმით.

მუხლი 26. სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება აქვს გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან, კოლმეურნეობებიდან, აგრეთვე სხვა კოოპერაციული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და თანამდებობის პირებისაგან სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის აუცილებელი ცნობები და საბუთები.

მუხლი 27. სანოტარო კანტორების და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომლები მოვალენი არიან დაიცვან მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედების საიდუმლოება.

ცნობები სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ და საბუთები მიეცემათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთა დავალებით ან რომელთა მიმართ შესრულებულია სანოტარო მოქმედება, აგრეთვე გაიცემა პროკურატურის, სასამართლო, საგამომძიებლო ორგანოების მოთხოვნით, თუ ეს საჭიროა მათს წარმოებაში მყოფი სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

ცნობები ანდერძის შესახებ გაიცემა მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

მუხლი 28. სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება არა აქვს სანოტარო მოქმედება შეასრულოს თავისი სახელით, თავისი მეუღლის სახელით ან მის სახელზე, მისი და თავისი ნათესავების (მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ბებია, პაპა, დები და ძმები) სახელით, აგრეთვე მოცემული სახელმწიფო სანოტარო კანტორის თანამშრომელთა სახელით და სახელზე.

მუხლი 29. სახელმწიფო სანოტარო კანტორები, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები, იმ პირთა თხოვნით, რომლებსაც სურთ სანოტარო მოქმედებათა შესრულება, ადგენენ გარიგებათა და განცხადებათა პროექტებს, ამზადებენ საბუთების ასლებს და მათ ამონაწერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 30. სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ან გაცემული საბუთების დაკარგვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაკარგულის ნაცვლად მიეცემა დუბლიკატი.

მუხლი 31. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, აგრეთვე გარიგებათა და განცხადებათა შედგენისათვის, საბუთების ასლების და ათი ამონაწერების დამზადებისათვის, დუბლიკატის გაცემისათვის მოქალაქეებსა და დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი.

მუხლი 32. ყველა სანოტარო მოქმედება რეგისტრირებული უნდა იქნეს სანოტარო რეესტრში, რიგითი ნომრის მიხედვით. რეესტრში აღინიშნება სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ გაცემული საბუთები და დამამოწმებელი წარწერა.

რეესტრის წარმოების წესს, აგრეთვე სანოტარო მოწმობებისა და დამამოწმებელ წარწერათა ფორმებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

თ ა ვ ი III

გარიგებათა დამოწმების წესი

მუხლი 33. სახელმწიფო ნოტარიუსი დაამოწმებს გარიგებებს, რომელთა შესასრულებლად კანონით დადგენილია სანოტარო ფორმა. მხარეთა სურვილით შეიძლება დამოწმებულ იქნეს სხვა ისეთი გარიგებანიც, რომელთა სანოტარო წესით დამოწმება კანონით სავალდებულო არ არის.

მუხლი 34. სახელმწიფო ნოტარიუსი არ დაამოწმებს ისეთ გარიგებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან კანონის მოთხოვნებს ან ეწინააღმდეგებიან სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს.

გარიგება იურიდიული პირის სახელით არ შეიძლება დამოწმებულ იქნეს, თუ ის ეწინააღმდეგება იურიდიული პირის წესდებით ან დებულებით გათვალისწინებულ მიზნებს.

მუხლი 35. გარიგების სანოტარო წესით დამოწმებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების მონაწილეთა ქმედუნარიანობას.

თუ გარიგებაში მონაწილეობს იურიდიული პირი, სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს მის უფლებაუნარიანობას.

წარმომადგენლის მიერ გარიგების დადებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს მის უფლებამოსილებას.

მუხლი 36. სახელმწიფო ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს მხარეებს წარმოდგენილი გარიგების პროექტის შინაარსი და მნიშვნელობა და შეამოწმოს შეესაბამება თუ არა მისი შინაარსი მხარეთა ნამდვილ სურვილებს.

მუხლი 37. სანოტარო წესით გარიგების დამოწმება მდგომარეობს შემდეგში: მოცემულ აქტს უკეთდება შესაბამისი წარწერა, რომელსაც ხელს აწერს და ბეჭედს უსვამს სახელმწიფო ნოტარიუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 38. სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგება სახელმწიფო ნოტარიუსს უნდა წარედგინოს არანაკლებ ორი ცალისა. მათ შორის ერთი რჩება სანოტარო კანტორის, ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეში, ხოლო დანარჩენი მიეცემა გარიგების მონაწილეებს ან ერთ-ერთ მათგანს, მათი სურვილის მიხედვით; გარიგების ყოველ ცალს ხელს აწერენ მხარეები და აქვს დედნის ძალა.

მუხლი 39. გარიგება ისეთი ქონების გასხვისების შესახებ, რომელიც დაბეგრილია გადასახადით ან გამოსაღებით, შეიძლება დამოწმებულ იქნეს იმ პირობით, თუ წარმოდგენილი იქნება გადასახადის ან გამოსაღების გადახდის მტკიცებულობა, ან შესაბამისი ორგანოს და შემძენის თანხმობა იმის შესახებ, რომ გადასახადის და გამოსაღების გადახდა დაეკისროს ქონების შემძენს.

მუხლი 40. მოქალაქეთა პირადი საკუთრების, საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოლექტივების სახლში ბინების გასხვისების ან გირავნობის ხელშეკრულების დამოწმებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს — ეკუთვნის თუ არა ისინი გამსხვისებელ ან დამგირავებელ პირს და არსებობს თუ არა ყადაღა მათ განსხვისებაზე.

თუ შენობის (ბინის) გასხვისებაზე დადებულია ყადაღა, ხელშეკრულების დამოწმება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი და შემძენი თანახმაა ვალი გადატანილ იქნეს შენობის (ბინის) ახალ შემძენზე.

საცხოვრებელი სახლის (სახლის, ბინის ნაწილის) გასხვისების ან გირავნობის ხელშეკრულების დამოწმება შეიძლება სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

პირადი საკუთრების შენობის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი მოვალეა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს განუმარტოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე და 238-ე მუხლების შინაარსი.

მუხლი 41. კოლმეურნის ან ერთპიროვნული გლეხური კომლის კუთვნილი შენობის გასხვისების ხელშეკრულების დასამოწმებლად ნოტარიუსს (ან მისი ფუნქციების ოფიციალურ შემსრულებელს) უნდა წარედგინოს კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობა შენობის გასხვისებაზე, ხოლო თუ კომლის შემადგენლობაში არიან კომლის არასრულწლოვანი და სხვა არაქმედუნარიანი წევრები — მეურვეობის ორგანოს წერილობითი თანხმობა. კოლმეურნეობაზე ან საბჭოთა მეურნეობაზე მიმაგრებულ მიწაზე არსებული შენობის გასხვისების ხელშეკრულების დამოწმების დროს, წარდგენილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილება ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის თანხმობა იმის შესახებ, რომ შენობის შემძენს სარგებლობაში დადაეცეს მიწის ნაკვეთი.

მუხლი 42. სახელმწიფო ნოტარიუსი დაამოწმებს ქმედუნარიანი მოქალაქის ანდერძს, თუ იგი შედგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლის შესაბამისად და სახელმწიფო ნოტარიუსს პირადად წარუდგენს ანდერძის დამტოვებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლის საშუალებით ანდერძის დამოწმება დაუშვებელია.

სახელმწიფო ნოტარიუსი ანდერძის დამტოვებელ მოქალაქეს გააცნობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე და 547-ე მუხლების შინაარსს.

თ ა ვ ი IV

სამკვიდრო ქონების დაცვა, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა

მუხლი 43. სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო ნოტარიუსი, ხოლო იქ, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, დაინტერესებულ პირთა განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით ახორციელებს ღონისძიებებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, როდესაც ეს საჭიროა მემკვიდრეების, ანდერძდანაკისრის მიმღების, სახელმწიფოს ან კრედიტორების ინტერესებისათვის.

სამკვიდრო ქონების დაცვა გრძელდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო ქონების მიღებამდე, ხოლო მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო ქონების მიუღებლობის შემთხვევაში — სამკვიდროს მიღებისათვის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლით დადგენილი ვადის გასვლამდე.

მუხლი 44. თუ სამკვიდრო ქონება ან მისი ნაწილი არ არის მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე, სახელმწიფო ნოტარიუსი მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით, დავალებას გაუგზავნის სახელმწიფო ნოტარიუსს, ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, მისი დაცვისათვის ზომების მიღების შესახებ.

მუხლი 45. სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად სამკვიდრო ქონება აღწერილ უნდა იქნეს და შესანახად ჩაბარდეს მემკვიდრეებს ან სხვა პირებს.

თუ მემკვიდრეები არ იმყოფებიან მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე და ამასთან, სამკვიდრო ქონება მართვას საჭიროებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორებს სასამართლოში აღძრული აქვთ სარჩელი, სახელმწიფო ნოტარიუსის ან იმ პირის წარდგენით, რომელსაც დაკისრებული აქვს სანოტარო მოქმედებათა შესრულება, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქონებას დაუნიშნავს მეურვეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 46. მეურვე ან ის პირი, რომელსაც შესანახად გადაეცა სამკვიდრო ქონება, გაფრთხილებული უნდა იქნეს, რომ ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვის შემთხვევაში პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლით, ხოლო სამკვიდრო ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო აგებს პასუხს მატერიალურად.

მუხლი 47. მეურვეს, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც სამკვიდრო ქონება შესანახად გადაეცა, თუ ისინი არ არიან მემკვიდრეები, უფლება აქვთ სამკვიდრო ქონების შენახვისათვის მიიღონ გასამრჯელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ პირთ უნდა აუნაზღაურდეს აგრეთვე სამკვიდრო ქონების შენახვისა და მმართველობისათვის გაწეული ხარჯები, ამ ქონების სარგებლობით ფაქტიურად მიღებული შემოსავლის გამოკლებით.

მუხლი 48. სახელმწიფო ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო ცნობა მემკვიდრეობის გახსნის შესახებ, ვალდებულია აცნობოს ეს იმ მემკვიდრეებს, რომელთა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი მისთვის ცნობილია.

სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია აგრეთვე მემკვიდრეთა გამოწვევა მოახდინოს საჯარო შეტყობინებით ან პრესის მეშვეობით.

მუხლი 49. ორგანიზაციები და ის პირნი, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები ეკუთვნით საკუთრების უფლებით, აგრეთვე მილიციის ორგანოები, მოვალენი არიან სახელმწიფო სანოტარო კანტორებს, ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ აცნობონ გარდაცვლილის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და მემკვიდრეთა საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შესახებ, თუ ეს მათთვის ცნობილია.

მუხლი 50. მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე, აგრეთვე სამკვიდრო ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემამდე, სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება აქვს, როცა ეს აუცილებელია, განკარგულება გასცეს სამკვიდრო ქონებიდან ფულადი თანხის გაღების შესახებ:

1. თუ გაწეული იყო ხარჯი სამკვიდროს დამტოვებლის მოსავლელად, მისი ავადმყოფობის დროს, ან მის დასაკრძალავად;

2. სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფ პირთა შესანახად;

3. შრომის ხელფასისა და მასთან გათანაბრებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

4. მემკვიდრეთა გამოსაწვევად, აგრეთვე ქონების შენახვისა და მმართველობისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.

თუ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში არ არის ფულადი თანხები, მაშინ გაიცემა ნივთი, რომლის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს გაწეული ხარჯების თანხას.

მუხლი 51. მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო ნოტარიუსი მემკვიდრეთა თხოვნით გასცემს მოწმობას მემკვიდრეობის უფლების შესახებ.

მოწმობას სახელმწიფოსათვის სამკვიდრო ქონების გადაცემის შესახებ სახელმწიფო ნოტარიუსი გასცემს საფინანსო ორგანოების მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა გაიცემა მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. მოწმობა მემკვიდრეობის უფლების შესახებ შეიძლება გაცემული იქნეს ექვსი თვის ვადის გასვლამდე, თუ სახელმწიფო ნოტარიუსს აქვს სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, რომ სხვა მემკვიდრეები, გარდა იმ პირებისა ვინც მოწმობას ითხოვს, არ არსებობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობა სახელმწიფოსათვის სამკვიდრო ქონების გადაცემის შესახებ საერთაშორისო საფინანსო ორგანოებს მიეცემა მხოლოდ მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში აღინიშნება მემკვიდრეები, სამკვიდრო ქონების შემადგენლობა და ადგილსამყოფელი, ქონების შეფასება, თითოეული მემკვიდრის კუთვნილი წილი, აგრეთვე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხა.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა შეიძლება გაიცეს ქონების სახეობათა ჩამოუთვლელადაც.

მემკვიდრეებს, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს კანონით დადგენილი წესით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლი), მოწმობა მემკვიდრეობის უფლების შესახებ შეიძლება მიეცეს ნებისმიერ დროს, მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 52. მემკვიდრეობის შესახებ მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი შეამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს, მემკვიდრეთა ცოლქმრულ ან ნათესაურ კავშირს სამკვიდროს დამტოვებელთან და, აგრეთვე იმას, ეკუთვნის თუ არა გარდაცვალებულს შენობები, თუ ასეთი მოიპოვება.

სამკვიდროს დამტოვებელს კმაყოფაზე მყოფ პირებს ნოტარიუსი მოსთხოვს სასამართლოს იმ დადგენილების ასლს, რომლითაც დადასტურებულია ფაქტი, რომ ისინი სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

მუხლი 53. საკოლმეურნეო (ან ერთპიროვნული) კომლის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეობა კომლის ქონებაზე არ იხსნება.

თუ გარდაიცვალა კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრი, კომლის ქონების მიმართ გამოიყენება მემკვიდრეობის სამართლის ნორმები საერთო საფუძველზე.

კომლის გარდაცვლილი წევრის პირადი საკუთრების ქონება მემკვიდრეებს გადაეცემა საერთო წესით.

თ ა ვ ი V

გაცემა მოწმობისა მეუღლეთა საერთო ქონების წილზე საკუთრების უფლების შესახებ

მუხლი 54. სახელმწიფო სანოტარო კანტორა მეუღლეთა განცხადების საფუძველზე ორივეს ან ერთ-ერთ მეუღლეს მისცემს მოწმობას ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების განსაზღვრულ ნაწილზე საკუთრების უფლების შესახებ.

მუხლი 55. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მოწმობა მეუღლეთა საერთო ქონების წილზე საკუთრების უფლების შესახებ გაიცემა მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით ყველა იმ მემკვიდრეთა თანხმობით, რომლებმაც მემკვიდრეობა მიიღეს.

ცოცხალ მეუღლეს შეიძლება მიეცეს მოწმობა მეუღლეთა საერთო ქონების **განსაზღვრულ ნაწილზე საკუთრების** უფლების შესახებ, **მაგრამ არაუმეტეს საერთო ქონების ნახევარი ნაწილისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი VI

ყადაღა საცხოვრებელი შენობის გასხვისებაზე

მუხლი 56. როდესაც სახელმწიფო ნოტარიუსი მიიღებს საბანკო დაწესებულებათა, სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მოქალაქეს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მრავალბინიან სახლში ბინის ასაშენებლად, შესაძენად ან კაპიტალური შეკეთებისათვის მიეცა სესხი, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) გირავნობის ხელშეკრულების დამოწმებისას, სახელმწიფო ნოტარიუსი საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით ყადაღას დაადებს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მრავალბინიან სახლში საცხოვრებელი ბინის გასხვისებაზე, რის შესახებ აცნობებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 57. სახელმწიფო ნოტარიუსი, როდესაც მიიღებს შეტყობინებას სესხის გადახდის ან გირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ, გაუქმებს ყადაღას და ამის შესახებ აცნობებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

თ ა ვ ი VII

საბუთების ასლების და საბუთებიდან ამონაწერების სისწორის, ხელმოწერის სინამდვილისა და თარგმანების სისწორის დამოწმება

მუხლი 58. სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აგრეთვე მოქალაქის მიერ გაცემული საბუთების ასლებისა და საბუთებიდან ამონაწერების სისწორეს სახელმწიფო ნოტარიუსი დაამოწმებს იმ პირობით, თუ საბუთები კანონს არ ეწინააღმდეგება, აქვთ იურიდიული მნიშვნელობა და მათი ასლებისა და ამონაწერების სისწორის დამოწმება კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 59. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების იმ აქტთა ასლების დამოწმება, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს ეხება, აგრეთვე უცხო ენაზე დაწერილი საბუთების სისწორის დამოწმება, შეიძლება მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და ცხინვალის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორებში.

მუხლი 60. არ შეიძლება დამოწმებულ იქნეს ისეთი საბუთების ასლების სისწორე, რომლებსაც აქვთ გადაფხეკილი ადგილები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და სხვა შესწორებანი.

თუ დასამოწმებლად წარმოდგენილი საბუთების ასლების სისწორე ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება აქვს გაგზავნოს ეს საბუთი ექსპერტიზისათვის.

მუხლი 61. მოქალაქეთა მიერ გაცემული საბუთების ასლების სისწორეს სახელმწიფო ნოტარიუსი დაამოწმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბუთებზე ხელისმოწერის სინამდვილეს ამოწმებს სანოტარო კანტორა, ან ის ორგანიზაცია, სადაც მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს, სახლთმმართველობა — სადაც იგი ცხოვრობს, ან იმ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც იგი მკურნალობს.

მუხლი 62. დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორა არ არის, საბუთების ასლებს და საბუთებიდან ამონაწერების სისწორეს, გარდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების და საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ დოკუმენტების ასლებისა, ამოწმებენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო ან რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

აკრძალულია პასპორტის, პარტიული ბილეთის, პროფკავშირული ბილეთის, დეპუტატის ბილეთის (მოწმობის) და სამხედრო ბილეთის ასლების დამოწმება.

მუხლი 63. სახელმწიფო ნოტარიუსმა ხელისმოწერის სინამდვილე უნდა დაამოწმოს მხოლოდ ისეთ საბუთზე, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება და არა აქვს გარიგების ხასიათი.

მუხლი 64. ხელისმოწერის სინამდვილის დამოწმებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ მოქალაქის ხელისმოწერის ნამდვილობას და არა საბუთების შინაარსის სისწორეს.

მუხლი 65. სახელმწიფო ნოტარიუსი იმ შემთხვევაში დაამოწმებს საბუთის თარგმნის სისწორეს, თუ მან იცის შესაბამისი ენები.

თუ ნოტარიუსმა არ იცის შესაბამისი ენები, საბუთი შეიძლება თარგმნოს მისთვის ცნობილმა მთარგმნელმა, რომლის ხელმოწერის სინამდვილეს ამოწმებს ნოტარიუსი.

თ ა ვ ი VIII

ფაქტების დამოწმება

მუხლი 66. სახელმწიფო სანოტარო კანტორა დაამოწმებს ფაქტს, რომ მოქალაქე ცოცხალია.

ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი ცოცხალია, შეიძლება დამოწმებულ იქნეს მშობლების, მეურვის ან მზრუნველის თხოვნით.

მუხლი 67. სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოქალაქის თხოვნით დაამოწმებს განსაზღვრულ ადგილზე მისი ყოფნის ფაქტს. განსაზღვრულ ადგილზე არასრულწლოვანის ყოფნის ფაქტი შეიძლება დამოწმებულ იქნეს მშობლების, მეურვის ან მზრუნველის თხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 68. ამ დებულების 66-ე და 67-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოების მტკიცებისათვის სახელმწიფო ნოტარიუსი დაინტერესებულ პირს მისცემს მოწმობას.

მუხლი 69. ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან მოქალაქის იგივეობას სახელმწიფო სანოტარო კანტორა დაამოწმებს მოქალაქის მიერ წარდგენილ ფოტოსურათზე.

მუხლი 70. სახელმწიფო სანოტარო კანტორა დაამოწმებს სახელმწიფო ნოტარიუსისათვის საბუთების წარდგენის დროს. დამამოწმებელი წარწერა გაკეთდება საბუთებზე და აღინიშნება მისი წარმომდგენი პირი.

თ ა ვ ი IX

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

მუხლი 71. დაინტერესებულ პირთა თხოვნით, სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოახდენს იმ მტკიცებულებათა უზრუნველყოფას, რომლებიც საჭირო იქნება სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის აღძვრის შემთხვევაში, თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ შემდეგში მტკიცებულებათა წარმოდგენა შეუძლებელი ან ძნელი გახდება.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ნოტარიუსი დაკითხავს მოწმეებს, დაათვალიერებს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს და ნიშნავს ექსპერტიზას.

მუხლი 72. მტკიცებულებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საპროცესო მოქმედების შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით.

განმცხადებელსა და სხვა დაინტერესებულ პირთ სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ადგილსა და დროს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დაბრკოლებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტას.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შეიძლება მოხდეს მეორე მხარისა და სხვა დაინტერესებულ პირთა დაუბარებლად მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ ვინ შეიძლება მონაწილეობდეს საქმეში.

მუხლი 73. სახელმწიფო ნოტარიუსი გამოწვეული მოწმის ან ექსპერტის გამოუცხადებლობის შესახებ აცნობებს სახალხო სასამართლოს მოწმის ან ექსპერტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა ამ უკანასკნელმა მათ მიმართ მიიღოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე და 81-ე მუხლებით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 74. სახელმწიფო სანოტარო კანტორა არ მოახდენს მტკიცებულებათა უზრუნველყოფას იმ საქმეებზე, რომლებიც სანოტარო კანტორისადმი მიმართვის მომენტში საბჭოთა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების წარმოებაშია.

თ ა ვ ი X

საზღვაო პროტესტების შესრულება

მუხლი 75. სახელმწიფო ნოტარიუსი მიიღებს კაპიტნის განცხადებას იმ შემთხვევის გამო, რომელიც მოხდა ნაოსნობის ან ნავსადგურში დგომის დროს და შესაძლოა საფუძველი იქნეს ქონებრივი მოთხოვნის წარდგენისა გემის მფლობელისადმი.

მუხლი 76. კაპიტნის განცხადებისა და გემის ჟურნალის მონაცემების, აგრეთვე თვით კაპიტნის და, თუ შესაძლებელია, საკომანდო შემადგენლობის და გემის ეკიპაჟის ორი წევრის გამოკითხვის საფუძველზე, სახელმწიფო ნოტარიუსი ორ ცალად შეადგენს აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ, რომელთაგან ერთი მიეცემა გემის კაპიტანს ან მის რწმუნებულს, ხოლო მეორე რჩება სანოტარო კანტორის საქმეებში.

თ ა ვ ი XI

მოქალაქეთა და დაწესებულებათა განცხადებების გადაცემა სხვა მოქალაქეებისა და დაწესებულებებისათვის

მუხლი 77. მოქალაქეებს, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ნოტარიუსის მეშვეობით შეუძლიათ ერთმანეთს წარუდგინონ განცხადებები ქონებრივი ურთიერთობის გამო.

განცხადებას მიიღეს ნოტარიუსი იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეიცავს რაიმე ისეთს, რაც კანონის საწინააღმდეგოა.

განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ან სამ ცალად. განცხადების ერთ ცალს სახელმწიფო ნოტარიუსი გადასცემს დანიშნულებისამებრ, ხოლო მეორე ცალს თვითონ იტოვებს.

მუხლი 78. ამა თუ იმ მხარის თხოვნით, სახელმწიფო ნოტარიუსი გასცემს მოწმობას განცხადების გადაცემის შესახებ, რომელშიც აღინიშნება განცხადების ჩაბარების დრო ან ცნობა განცხადების მიღებაზე უარის თქმის გამო — თუ ამას ადგილი ჰქონდა, აგრეთვე მიღებული პასუხი. მოწმობა, განმცხადებლის სურვილით, შეიძლება დაიწეროს განცხადების მესამე ცალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XII

ფულადი თანხებისა და ფასიანი ქაღალდების დეპოზიტში მიღება კუთვნილებისამებრ გადაცემის მიზნით

მუხლი 79. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 183-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოვალისაგან დეპოზიტში მიიღებს ფულად თანხებსა და ფასიან ქაღალდებს კრედიტორისათვის გადასაცემად.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა ფულადი თანხებისა და ფასიანი ქაღალდების მიღების შესახებ აცნობებს კრედიტორს და მისი თხოვნით აძლევს მას კუთვნილ ფულად თანხებსა და ფასიან ქაღალდებს.

ფულადი თანხების ან ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო სანოტარო კანტორის დეპოზიტში შეტანა წარმოებს ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით.

მუხლი 80. ფულადი თანხები და ფასიანი ქაღალდები შეიძლება დაუბრუნდეს მათ შემტანს მხოლოდ მაშინ, თუ წარმოდგენილი იქნება წერილობითი თანხმობა იმ პირისა, ვის სასარგებლოდაც შეტანილია ისინი, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თავი XIII

სააღსრულებო წარწერების გაკეთება

მუხლი 81. ფულის გადასახდევინებლად ან მოვალისაგან ქონების გამოსათხოვად სახელმწიფო ნოტარიუსი აკეთებს სააღსრულებო წარწერას სბუთებზე, რომლებიც ადასტურებენ დავალიანებას.

იმ სბუთების ნუსხას, რომელთა მიხედვით დავალიანების გადახდევინება სააღსრულებო წარწერის საფუძველზე, წარმოებს უდავო წესით, დაადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 82. სააღსრულებო წარწერა გაკეთდება:

1) თუ წარმოდგენილი სბუთების მიხედვით უდავოა დავალიანების ან მოვალის სხვა პასუხისმგებლობის არსებობა გადამხდევინებლის წინაშე;

2) თუ სარჩელის აღძვრის უფლების წარმოშობის დღიდან გასულია არაუმეტეს სამი წლისა, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის — არაუმეტეს ერთი წლისა.

თუ იმ მოთხოვნისათვის, რომელზეც გაცემულ უნდა იქნეს სააღსრულებო წარწერა, კანონით დაწესებულია ხანდაზმულობის სხვა ვადა, სააღსრულებო წარწერა გაიცემა ამ ვადის ფარგლებში.

მუხლი 83. სააღსრულებო წარწერაში უნდა აღინიშნოს:

1) სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი პირის თანამდებობა, გვარი და ინიციალები;

2) გადამხდევინებლის დასახელება და მისამართი;

3) მოვალის დასახელება და მისამართი;

4) ვადა, რომელშიაც ხდება გადახდევინება;

5) გადასახდელი თანხა, დასაბრუნებელი საგნები, აგრეთვე კუთვნილი საურავი და პროცენტი;

6) გადამხდევინებლის მიერ გადახდილი ან მოვალის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხები;

7) სააღსრულებო წარწერის შესრულების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი);

8) სააღსრულებო წარწერის რეესტრში გატარების ნომერი;

9) სააღსრულებო წარწერის შემსრულებელი თანამდებობის პირის ხელისმოწერა და სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის ბეჭედი.

მუხლი 84. სააღსრულებო წარწერით გადახდევინება ხდება იმ წესით, რაც დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

მუხლი 85. თუ გადამხდევინებელი ან მოვალე მოქალაქეა, სააღსრულებო წარწერა იძულებითი აღსრულებისათვის შეიძლება წარდგენილ იქნეს სამი წლის განმავლობაში, დღიდან წარწერის შესრულებისა, ხოლო ყველა დანარჩენ მოთხოვნაზე — ერთი წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით სხვა ვადები არ არის დადგენილი.

მუხლი 86. თუ დაიკარგა საბუთი მასზე გაკეთებული სააღსრულებო წარწერით, სახელმწიფო ნოტარიუსი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე გამოიწვევს მოვალეს და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, გასცემს სააღსრულებო წარწერის დუბლიკატს.

თავი XIV

თამასუქის პროტესტი, ჩეკის წარდგენა გასანაღდებლად და ჩეკის გაუნაღდებლობის დამოწმება

მუხლი 87. თამასუქის პროტესტი, მისი გაუნაღდებლობის ან გასანაღდებლად მისი მიუღებლობის გამო, სრულდება გადახდევინების ადგილის მიხედვით, გასაცემი და უბრალო თამასუქის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

თამასუქის პროტესტის შესახებ თვით თამასუქზე კეთდება დაწესებული ფორმის სათანადო წარწერა, რომელსაც სააღსრულებო დოკუმენტის ძალა აქვს.

მუხლი 88. ჩეკის გაუნაღდებლობას სახელმწიფო ნოტარიუსი დაამოწმებს გადამხდევინებლის სამყოფელი ადგილის მიხედვით ჩეკების დებულებით დადგენილი წესების თანახმად.

სახელმწიფო ნოტარიუსს გაუნაღდებლობის დასამოწმებლად ჩეკი უნდა წარედგინოს მისი გაცემიდან ათი დღის განმავლობაში, ხოლო უცხოეთის ჩეკი — ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღის 12 საათისა, ამ ვადის გასვლიდან.

სახელმწიფო ნოტარიუსი იმავე დღეს ბანკს გასანაღდებლად წარუდგენს ჩეკს, გაუნაღდებლობის შემთხვევაში იგი სათანადო აღნიშვნას აკეთებს რეესტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რში და წარწერას — ჩეკზე, რის შესახებაც სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს ჩეკის გამცემს.

თავი XV

საბუთების მიღება შესანახად

მუხლი 89. სახელმწიფო სანოტარო კანტორები საბუთებს შესანახად ღებულობენ აღწერით, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში, ხოლო მეორე ეძლევა მის წარმომდგენ პირს. შესანახად მიღებული საბუთები დაუბრუნდება შესანახად ჩამბარებელ პირს ან მის კანონიერ რწმუნებულს, აღწერილობის მეორე ეგზემპლარის წარმოდგენის შემდეგ, ან სასამართლოს დადგენილებით.

თავი XVI

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სანოტარო მოქმედებათა შესრულება, უცხოეთის სამართლის გამოყენება. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებანი

მუხლი 90. უცხოელ მოქალაქეებს, აგრეთვე სსრ კავშირში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთ უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოს საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად.

მუხლი 91. სახელმწიფო ნოტარიუსი იყენებს უცხოეთის სამართლის ნორმებს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, აგრეთვე იმ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი და საქართველოს სსრ.

სახელმწიფო ნოტარიუსი ღებულობს საბუთებს, რომლებიც შედგენილია უცხოეთის სამართლის ნორმების შესაბამისად, აგრეთვე აკეთებს დამამოწმებელ წარწერას უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

მუხლი 92. სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი და საქართველოს სსრ, სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ დადგენილი წესის მიხედვით მათთვის გადაცემულ უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეუძლიათ დადგენილი წესის მიხედვით დავალება მისცენ უცხოეთის იუსტიციის ორგანოებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ.

მუხლი 93. საბუთს, რომელიც შედგენილია უცხოეთში, უცხოეთის კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები მიღებენ იმ პირობით, თუ იგი ლეგალიზებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოებში.

ლეგალიზაციის გარეშე ასეთ საბუთებს სახელმწიფო სანოტარო კანტორები მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი და საქართველოს სსრ.

მუხლი 94. თუ საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი და საქართველოს სსრ, სანოტარო მოქმედებათა შესრულება მიკუთვნებულია საბჭოთა სანოტარო ორგანოების კომპეტენციისადმი, მაშინ ეს მოქმედება სანოტარო კანტორებმა უნდა შეასრულონ ამ დებულებით დადგენილი წესის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დებულებით დადგენილი არ არის მოცემულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების ადგილი, მაშინ დაინტერესებულ პირთა შეთანხმებით იგი შეიძლება შესრულებულ იქნეს საქართველოს სსრ ყოველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში — თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში.

მუხლი 95. მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია უცხოელი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების ან საბჭოთა კავშირის მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი უცხოელი მოქალაქის კუთვნილი ქონების დაცვასთან, აგრეთვე ასეთი ქონების მემკვიდრეობის წესით მიღება, ხორციელდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი და საქართველოს სსრ.

თავი XVII

სახელმწიფო ნოტარიუსის მოქმედებათა გასაჩივრება

მუხლი 96. დაინტერესებულ პირს, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი ორგანოს მოქმედება ან უარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებაზე, შეუძლია ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს სასამართლოში საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 97. მოთხოვნა, რომელიც ემყარება საღსრულებო წარწერას, მოვალეს შეუძლია სადავოდ გახადოს მხოლოდ სასარჩელო წესით.

თავი XVIII

გამოცემა ინსტრუქციებისა სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ

მუხლი 98. ინსტრუქციას საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებში სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ გამოსცემს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

მუხლი 99. ინსტრუქციას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ დამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

354 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებები ახალი რედაქციით (დებულება თან ერთვის).

2. დამტკიცდეს დაჯილდოების ფურცელი.

3. აღნიშნული ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 23 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ქოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის შესახებ

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ჯილდოდდებიან მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის, ნაყოფიერი საწარმოო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, აგრეთვე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებში დამსახურებისათვის.

2. საპატიო სიგელით დაჯილდოება ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსე-

თის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგენით.

3. ცალკეულ პირთა საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად შუამდგომლობასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას კადრების აღრიცხვის ფურცელი.

4. დაჯილდოებულებს გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის საპატიო სიგელი.

5. საპატიო სიგელის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის შესახებ

1. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეიტანენ მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მეცნიერთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ მუშაკთა მოწინავე წარმომადგენლებს, რომლებმაც მოიპოვეს განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებანი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების განვითარებაში და პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებში.

2. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეტანა ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

3. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეტანის შესახებ შუამდგომლობის აღძრისას წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაჯილდოების ფურცელი.

4. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეტანილ პირებს გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის სიგელი.

5. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნიდან ამოღება და სიგელის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ

განყოფილება I

დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ცალკეულ პირთ, სპეციალობის მიხედვით, შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

1. საქართველოს სსრ სახალხო პოეტი;
2. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი;
3. საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი;
4. საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;
5. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე;
6. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
7. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი;
8. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი;
9. საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი;
10. საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი;
11. საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი;
12. საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი;
13. საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი;
14. საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი;
15. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი;
16. საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე;
17. საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი;
18. საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე;
19. საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორი;
20. საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი;
21. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებელი;
22. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატი;
23. საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი;
24. საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე;
25. საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი;
26. საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი;
27. საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი;
28. საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი;
29. საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი;
30. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი;
31. საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.

ცალკეულ მუსიკალურ, საგუნდო, ქორეოგრაფიულ და სხვა საშემსრულებლო კოლექტივებს შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის სპატიო წოდება.

განყოფილება II

1. **საქართველოს სსრ სახალხო პოეტის სპატიო წოდება** მიენიჭებათ ქართული საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს მაღალმხატვრული ნაწარმოებები და თავიანთი მოღვაწეობით ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში მოიპოვეს საყოველთაო სახალხო აღიარება.

2. **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სპატიო წოდება** მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ფილარმონიის, ესტრადის, ცირკის მსახიობებსა და რეჟისორებს, მუსიკალურ შემსრულებლებს, აგრეთვე დრამატურგებს, დირიჟორებს და კომპოზიტორებს, რომელთაც შექმნეს თვალსაჩინო მხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინო-ფილმები და მუსიკალური ნაწარმოებები და განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში.

3. **საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის სპატიო წოდება** მიენიჭებათ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის და განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

4-5. **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ან საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება** მიენიჭებათ მეცნიერ მუშაკებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრომებისათვის, კომუნისტური მშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თვალსაჩინო აღმოჩენებისა და გამოგონებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, აგრეთვე თვალსაჩინო სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

6. **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება** მიენიჭებათ რეჟისორებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს, დრამატურგებს, კომპოზიტორებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს თვალსაჩინო ნაწარმოებები, აგრეთვე მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომები ხელოვნების დარგში, ან დიდი დამსახურება მიუძღვით კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში.

7. **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის სპატიო წოდება** მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ფილარმონიის, ესტრადის, ცირკის არტისტებსა და რეჟისორებს, მუსიკალურ შემსრულებლებს, რომლებმაც შექმნეს მაღალმხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინო-ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები და თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. **საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება** მიენიჭებათ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის და დიდი დამსახურებისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, თეატრალურ-დეკორაციული და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

9. **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება** მიენიჭებათ რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, სპორტული სკოლების მასწავლებლებს, საბავშვო სახლებისა და ბაგა-ბაღების აღმზრდელებს და სახალხო განათლების დაწესებულებათა მუშაკებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არა ნაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

10. **საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება** მიენიჭებათ საექიმო უბნების, ამბულატორიების, სამშობიაროს სახლების, საავადმყოფოების, ჰოსპიტლების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ დაწესებულებათა ექიმებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობით, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შენიშვნა: იმ ექიმებისათვის, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის საზღვრისპირა და მაღალმთიან რაიონებში, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მისანიჭებლად საკმარისია მუშაობის 15 წლის სტაჟი.

11. **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება** მიენიჭებათ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებისა და აგრეთვე სახალხო მეურნეობის მმართველობის ორგანოების მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინრებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საინჟინრო მოღვაწეობით.

12. **საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება** მიენიჭებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის ორგანოებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მაღალკვალიფიციურ აგრონომებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 20 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

13. **საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის საპატიო წოდება** მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ ვეტერინარ ექიმებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 20 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. **საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება** მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ ზოოტექნიკოსებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 20 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

15. **საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდება** მიენიჭებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის, სამანქანო და მანქანათმოქმედებითი სადგურების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომელთაც აქვთ სპეციალობის მიხედვით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის საქმეში.

16. **საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება** მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ მეღვინეებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეღვინეობის განვითარების საქმეში. გაუუმჯობესეს ღვინის ხარისხი, შექმნეს ახალი სამარკო ღვინოები, ღვინის წარმოებაში დანერგეს მოწინავე ტექნოლოგია, აქვთ დიდი დამსახურება მეღვინეთა კადრების აღზრდის საქმეში.

17. **საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება** მიენიჭებათ რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ექსპლუატაციის, მშენებლობის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წყალთა მეურნეობის მაღალკვალიფიციურ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით წყალთა მეურნეობის განვითარების საქმეში.

18. **საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება** მიენიჭებათ სატყეო მეურნეობების, სანერგეების, ქარსაცავების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებების, ტყის მოწყობისა და სხვა სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მეტყევე სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში.

19. **საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდება** მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ პროვიზორებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობით.

20. **საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება** მიენიჭებათ უმაღლესი ეკონომიური განათლების მქონე ყველა დარგის ეკონო-

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და მიუძღვით თვალსაჩინო დამსახურება.

21. **საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის სპატიო წოდება** მიენიჭებათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებს, აღმზრდელებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგის მუშაკებს, რომლებსაც როგორც წესი, აქვთ უმაღლესი განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობით-პედაგოგიური მოღვაწეობით და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

22. **საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის სპატიო წოდება** მიენიჭებათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დარგის მუშაკებს, რომლებსაც აქვთ არანაკლებ საშუალო განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში მუშაობის 15 წლის სტაჟი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობით-პედაგოგიურ სარბიელზე და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

23. **საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის სპატიო წოდება** მიენიჭებათ ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, აგრეთვე საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

24. **საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება** მიენიჭებათ იმ პირთ, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში და აქვთ ამ დარგში მუშაობის არანაკლები 20 წლის სტაჟი.

25. **საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის სპატიო წოდება** მიენიჭებათ ცალკეულ პირთ, რომელთაც აქვთ განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოგონება, რომლის დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

26. **საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის სპატიო წოდება** მიენიჭებათ ცალკეულ პირებს, რომელთაც შეიმუშავეს თვალსაჩინო რაციონალიზატორული წინადადება, რომლის დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

27. **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის სპატიო წოდება** მიენიჭებათ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე იურისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არა ნაკლებ 20 წლისა და მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა მართლმსაჯულების დარგში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

28. **საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის სპატიო წოდება** მიენიჭებათ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობისა და სპეციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო-დაწესებულებების მუშაკებს, რომლებმაც სავაჭრო ორგანიზაციებში უმწიკლოდ იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საქმეში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

29. **საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგის საპატიო წოდება** მიენიჭებათ უმაღლესი განათლების მქონე გეოლოგიური სამსახურის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებმაც გეოლოგიის დარგში იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოირჩევიან საწარმოო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

30. **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება** მიენიჭებათ კავშირგაბმულობის მოწინავე მუშაკებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი ტექნიკის დანერგვაში, კავშირგაბმულობის ყველა სახეობით წარმოება-დაწესებულებებისა და მოსახლეობის სანიმუშო მომსახურებაში.

31. **საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება** მიენიჭებათ წამყვანი პროფესიის კვალიფიციურ სპეციალისტებს: მუშებს, ბრიგადირებს, ოსტატებს, ტექნიკოსებს, მექანიზატორებს, რომლებმაც იმუშავეს მშენებლობაზე და საშენ მასალათა მრეწველობაში, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში არა ნაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით მშენებლობის დარგში.

32. **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება** მიენიჭებათ კულტურის სახლებისა და სასახლეების, კლუბების, პარკების, მუზეუმების, ხალხური შემოქმედების სახლების, მეთოდური კაბინეტების, კინოთეატრების, კინოდანადგარების, კინოფილმების გაქირაავების კანტორების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობების, პოლიგრაფიის მუშაკებს, საზოგადოება „ცოდნის“ და სხვა ორგანიზაციების ლექტორებს, რომელთაც კულტურის დარგში იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

* * *

საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება მიენიჭებათ მუსიკალურ, საგუნდო, ქორეოგრაფიულ და სხვა კოლექტივებს მაღალმხატვრული საშემსრულებლო ოსტატობისა და წარმატებითი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რაც ხელს უწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

განყოფილება III

საქართველოს სსრ საპატიო წოდებებს მიანიჭებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სამინისტროების, უწყებების, მეცნიერებათა აკადემიისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების რესპუბლიკური ორგანოების წარდგინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სამინისტროებისა და უწყებების წინაშე შუამდგომლობის აღძრა შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საოლქო და რესპუბლიკური ორგანიზაციები საპატიო წოდების მინიჭების შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის წინაშე, რომლებიც სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ თავიანთ წინადადებას წარუდგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შუამდგომლობას საპატიო წოდების მინიჭების შესახებ უგზავნიან შესაბამის სამინისტროებსა და უწყებას, ხოლო ეს უკანასკნელნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგენენ კოლეგიების გადაწყვეტილებებს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაჯილდოების ფურცელს, რომელიც სათანადოდ უნდა იქნეს გაფორმებული.

შუამდგომლობას საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ წარმოადგენენ სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსთან ერთად; ამასთან, დაჯილდოების ფურცელს უნდა დაერთოს სათანადო მოწმობათა ასლები გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადების შესახებ, აგრეთვე ცნობები ამ წინადადებათა წარმოებაში დანერგვისა და მათი ეკონომიური ეფექტიანობის თაობაზე.

განყოფილება IV

იმ პირთ, რომლებსაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდება, გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის და მდივნის მიერ ხელმოწერილი სიგელი;

ხოლო მათ ვისაც საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის ან საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება მიენიჭებათ, სიგელთან ერთად გადაეცემათ სამკერდე ნიშანი.

* * *

საქართველოს სსრ საპატიო წოდების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

355 აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების ტრანსკრიფციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება „აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების ტრანსკრიფციის შესახებ“ და დაიწეროს:

გაგრის რაიონში

	ქართულ ენაზე:	რუსულ ენაზე:
ხოლოდნორეჩინსკის სასოფლო საბჭოს სოფელი	გრებეშოკი	Гребешок
ხოლოდნორეჩინსკის სასოფლო საბჭოს სოფელი	ჩიგირიფში	Чигриш
ბზიბის სასოფლო საბჭოს სოფელი	არასაძიხი	Арасадзых

გუდაუთის რაიონში

ქალაქის ტიპის დასახლება	ახალი ათონი	Новый Афон
აგარაკის სასოფლო საბჭოს სოფელი	რიაფში	Риаш
ოთხარის სასოფლო საბჭოს სოფელი	ოთხარა	Отхара
ოთხარის სასოფლო საბჭოს სოფელი	ვარფი	Гарп
დურიფშის სასოფლო საბჭოს სოფელი	დურიფში	Дуриш
ლიხნის სასოფლო საბჭოს სოფელი	ალგითი	Алгыт
აბღარხუქის სასოფლო საბჭოს სოფელი	აბღარხუქი	Абгархук
აჭანდარის სასოფლო საბჭოს სოფელი	ძიბზირი	Дзыбзыр
ააცის სასოფლო საბჭოს სოფელი	ააცი	Аацы
ხოფის სასოფლო საბჭოს სოფელი	ხოფი	Хуап
	ხოფის სასოფლო საბჭო	Хуапский сельский Совет
ლიხნის სასოფლო საბჭოს სოფელი	აძლაგარხუქი	Адзлагархук

გულრიფშის რაიონში

გულრიფშის სასოფლო საბჭოს სოფელი	ქვემო გულრიფში	Нижний Гульриш
გულრიფშის სასოფლო საბჭოს სოფელი	მეორე ბაღაჟიაშთა	Второй Багажиашта

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულრიფშის სასოფლო საბჭოს სოფელი	პირველი ბაღაქიაშთა	Первый Багажиашта
გულრიფშის სასოფლო საბჭოს სოფელი	ფშაფი	Пшап
გულრიფშის სასოფლო საბჭოს სოფელი	ფარნაუთი	Парнаут
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	ბუძგური	Будзгур
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	მარცხენა პტიში	Левый Птыш
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	მარჯვენა პტიში	Правый Птыш
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	მარცხენა გენწვიში	Левый Генцвиш
დრანდის სასოფლო საბჭოს სოფელი	ზემო ფშაფი	Верхний Пшап
დრანდის სასოფლო საბჭოს სოფელი	ქვემო ფშაფი	Нижний Пшап
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	მარჯვენა გენწვიში	Правый Генцвиш
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	ნახარი	Нахар
ამტყელის სასოფლო საბჭოს სოფელი	ამტყელი	Амткел
აჟარის სასოფლო საბჭოს სოფელი	საკენი	Сакен
ამტყელის სასოფლო საბჭოს სოფელი	ჯამპალი	Джампал
მაჭარის სასოფლო საბჭოს სოფელი	ზემო გულრიფში	Верхний Гульрипш
ლათის სასოფლო საბჭოს სოფელი	მარდახუჭი	Мардахуч

ოჩამჩირის რაიონში

ქალაქი	ოჩამჩირა	Очамчира
აძუბაჟის სასოფლო საბჭოს სოფელი	ახივა	Ахываа
აძუბაჟის სასოფლო საბჭოს სოფელი	ბაღლანი	Баглан
აძუბაჟის სასოფლო საბჭოს სოფელი	დოპოუქითი	Допоукыт
აძუბაჟის სასოფლო საბჭოს სოფელი	ბალანი	Балан
ათარა არმიანსკოეს სასოფლო საბჭოს სოფელი	ფსკალი	Пскал
ტამიშის სასოფლო საბჭოს სოფელი	ანუარხუ	Ануаарху
კინდღის სასოფლო საბჭოს სოფელი	ახივა	Ахываа
ჯგერდის სასოფლო საბჭოს სოფელი	გურჩხი	Гурчх
მოქვის სასოფლო საბჭოს სოფელი	აჯაკვი	Аджажв
ტყვარჩელის სასოფლო საბჭოს სოფელი	აყვარჩაფანი	Акварчапан
გუფის სასოფლო საბჭოს სოფელი	გუფი	Гуп
გუფის სასოფლო საბჭოს სოფელი	ჩაწვქითი	Чацвкыт
გუფის სასოფლო საბჭოს სოფელი	აკვასკე	Акваскиа

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუფის სასოფლო საბჭოს სოფელი	ზაგანი	Заган
ფოქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელი	ფოქვეში	Поквеш
ფოქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელი	აყვარაში	Аквараш
ოტაფის სასოფლო საბჭოს სოფელი	ოტაფი	Отап
არასაძიხის სასოფლო საბჭოს სოფელი	არასაძიხი	Арасадзых
არასაძიხის სასოფლო საბჭოს სოფელი	მეორე არასაძიხი	Второй Арасадзых
აგუ-ბედიის სასოფლო საბჭოს სოფელი	მეორე კოპიტი	Второй Копыт
ოხურეის სასოფლო საბჭოს სოფელი	აყვარაში	Аквараш
ბესლახუბის სასოფლო საბჭოს სოფელი	დოდლანი	Додлан
არაკიჩის სასოფლო საბჭოს სოფელი	არაკიჩი	Аракич
აგუ-ბედიის სასოფლო საბჭოს სოფელი	პირველი კოპიტი	Первый Копыт
კვიტოულის სასოფლო საბჭოს სოფელი	კუტოლი	Кутол
	კუტოლის სასოფლო საბჭო	Кутольский сельсовет
აძუბჟის სასოფლო საბჭოს სოფელი	კუდრახუქი	Кудрахук

სოხუმის რაიონში

გუმისთის სასოფლო საბჭოს სოფელი	ლეჩქოფი	Лечкоп
შრომის სასოფლო საბჭოს სოფელი	კამანი	Каман

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

356 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რწმუნებათა ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაგრძელდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1962 წლის 22 ივნისს არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რწმუნების ვადა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 21 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

357 აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელ ვარდისუბნის გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება გულრიფშის რაიონის მაჭარის სასოფლო საბჭოს სოფელ ვარდისუბნის სოფელ თხუბუნად გადარქმევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 27 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

358 ლენტეხის რაიონიდან უშგულის სასოფლო საბჭოს გამოყოფისა და მესტიის რაიონისათვის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ლენტეხის რაიონს უშგულის სასოფლო საბჭო და მიეკუთვნოს იგი მესტიის რაიონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 29 ივნისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

359 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტში ხარძრის ჩაქრობისას გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ილია ჩახოს ძე **ბადია** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

2. ვასილ ზაქარიას ძე **ბარანი** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის განყოფილების მეთაური.

3. დიმიტრი თევდორეს ძე **ბოლაბკო** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

4. მიხეილ აქვსენტის ძე **გაბელია** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

5. ჩინჩერ მახმედის ძე **დბარი** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის ქვეგანყოფილების მეთაური.

6. ანატოლი მანუსის ძე **კობელნიცკი** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მეთაურის თანაშემწე.

7. სტეფანე ალექსის ძე **კნიაზიკი** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

8. მამია ერმალოს ძე **ლობუანია** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

9. ვლადიმერ ანლროს ძე **მარგოშია** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

10. ივანე ათანასეს ძე **რევნიუკი** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის ქვეგანყოფილების მეთაური.

11. ნიკოლოზ დიმიტრის ძე **სუვაკი** — ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთომაშველი რაზმის მერესპირატორე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

360 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“**.

1. ბეგლარ ევტიხის ძე **ბუალავა** — ქ. ფოთის მე-2 პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

2. ომარ მიხეილის ძე **დანელია** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

3. ვლადიმერ სერაფიონის ძე **კიკნაძე** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

4. ტარასი მარკოზის ძე **კილასონია** — ქ. ფოთის მე-2 პროფესიონალური სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

5. ლომინ ეპიფანეს ძე **კირცხალია** — ქ. ფოთის მე-3 პროფესიონალური სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

6. რომან ვლადიმერის ძე **ლაბარტყავა** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

7. გრიგოლ ალექსანდრეს ძე **მილორავა** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო ნაწილის ქვეგანყოფილების მეთაური.

8. ბორის ლუკას ძე **ტყეებუჩავა** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მძღოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ავთანდილ გერმანეს ძე **ქავთარაძე** — ქ. ფოთის 1-ლი პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

10. მელორი ბესარიონის ძე **წაქაძე** — ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის წევრი.

11. გერონტი აქვსენტის ძე **წუწუნავა** — ქ. ფოთის მე-3 პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

361 ამხ. ვ. ვ. ჭელიძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის ამხ. ვახტანგ ვასილის ძე **ჭელიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

362 თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ინჟინრებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის** საპატიო წოდება:

1. სარქის ნიკოლოზის ძე **ასატუროვს** — უბნის უფროსს.
2. ეღიშ კარაპეტის ძე **ბაღდასარიანს** — განყოფილების ინჟინერს.
3. გრიგოლ გიორგის ძე **ბობოხიძეს** — საამქროს უფროსის მოადგილეს.
4. ივანე იოსების ძე **კოდალს** — ინჟინერ-კონსტრუქტორს.
5. მარგალიტა აბგარის ასულ **ლიანოზოვას** — ინჟინერ-კონსტრუქტორს.
6. გიორგი ივანეს ძე **ნესტიურინს** — განყოფილების უფროსს.
7. ლევან ვლადიმერის ძე **ჩხეიძეს** — გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიუროს **უფროსს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სიმონ ივანეს ძე ჯაფარიძეს — საამქროს უფროსის მოადგილეს.
9. გრიგოლ კონსტანტინეს ძე ჯაშს — საამქროს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

363 გასამხედროებული სამთო მაშველი ნაწილების ქვეგანაყოფების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 2 შახტში მიწისქვეშა ხანძრის ჩაქრობისას თავგანწირვისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ტყიბულის 45-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი.
2. ტყვარჩელის 46-ე გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი.
3. გორლოვკის I გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმი.
4. დონეცკის ოპერატიული გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის რუტჩენკოვკის მე-4 ოცეული.
5. მაკეევკის მე-3 გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის ოპერატიული ოცეული.
6. ქ. შახტის გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მე-8 ოპერატიული ოცეული.
7. გუკოვის გასამხედროებული სამთო მაშველი რაზმის მე-12 ოპერატიული ოცეული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

364 ამხ. ი. ზ. უზნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მომარაგების რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. იოსებ ზაქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიას ძე უზნაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

365 ამხ. ლ. ხ. თოხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცა წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ამხ. ლეონიდე სევერიანეს ძე თოხაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1967 წლის 7 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

366 ამხ. ბ. ვ. ბუზნიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის თეატრალური მუზეუმის დირექტორი ამხ. გრიგოლ (გუგული) ვარდენის ძე ბუზნიკაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

367 თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის დიმიტროვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის საავიაციო ქარხანა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

368 **თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით და ამ ქარხანაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით:**

1. დავით ალექსის ძე **ბაბუნაშვილი** — ზეინკალი.
2. ანეტა არშაკის ასული **ბეჟანოვა** — მღებავი.
3. მიხეილ ალექსის ძე **ბერიანიძე** — ზეინკალი.
4. ბორის ილიას ძე **ბორტნი** — ზეინკალი.
5. ფოკა მელიტონის ძე **გაბუნია** — განყოფილების უფროსი.
6. გრიგოლ შიოს ძე **გიგილაშვილი** — საამქროს უფროსი.
7. ვახტანგ გიორგის ძე **გოგიჩაშვილი** — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
8. ნიკოლოზ ათანასეს ძე **გოლობოროდკო** — საამქროს უფროსი.
9. სიმონ არკადის ძე **გრეზოვი** — ტექბიუროს უფროსი.
10. ოთარ ნიკოლოზის ძე **დვალი** — მღარავი.
11. ივანე მაკარის ძე **დმიტრენკო** — მექანიკოსი.
12. ნიკოლოზ ტიმოთეს ძე **დუბროვი** — ხარატი.
13. სამსონ ნიკოლოზის ძე **ელბაჭიძე** — მანდრირებელი.
14. ანტონ ტიხონის ძე **ზიკოვი** — ზეინკალი.
15. რევაზ პავლეს ძე **იზაშვილი** — განყოფილების უფროსი.
16. ნიკოლოზ პორფილეს ძე **იობაძე** — ზეინკალი.
17. გიორგი ნიკოლოზის ძე **იორდანიშვილი** — უფროსი საკონტროლო ოსტატი.
18. ვლადიმერ იაკობის ძე **კვირკველია** — შემდუღებელი.
19. გიორგი გიორგის ძე **კობალაძე** — მთავარი ტექნოლოგის მოადგილე.
20. ვიქტორ ივანეს ძე **კოსორუკოვი** — კონტროლიორი.
21. ალექსანდრე სიმონის ძე **კოტოვი** — მოტორისტი.
22. გრიგოლ ივანეს ძე **კოჭლავაშვილი** — ქარხნის დირექტორის მოადგილე.
23. ტატიანა იაგორის ასული **კრუტიხ** — ხარატი.
24. ივანე ადამის ძე **კურატაშვილი** — მქლიბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. თევდორე ათანასეს ძე **ლავრიშჩევი** — მეარმატურე.
26. მარიამ პეტრეს ასული **ლინჩენკო** — მწვანილეული.
27. შოთა ანდრიას ძე **მიქაძე** — მედაზგე.
28. ალექსანდრე სიმონის ძე **მიქელაძე** — მძღოლი.
29. კირილე თევდორეს ძე **ორლოვი** — საამქროს საკონტროლო ბიუროს უფროსი.
30. კონსტანტინე ივანეს ძე **პეტროვი** — საამქროს უფროსის მოადგილე.
31. ბორის მიხეილის ძე **პოპელ** — საამქროს საკონტროლო ბიუროს უფროსი.
32. ვიქტორ ნიკოლოზის ძე **რაკოვენკო** — ზეინკალი.
33. ალექსი სიკოს ძე **საგინაშვილი** — ხარატი.
34. ამაიაკ აიკის ძე **სარქისიანი** — მემოქლონე.
35. ონიკ იაკობის ძე **სარქისიანი** — განყოფილების გამგე.
36. ლევან სეროფის ძე **საროიანი** — მუშედელი.
37. გაბრიელ მიხეილის ძე **სიხარულიძე** — საამქროს უფროსი.
38. ალექსი ნიკოლოზის ძე **სტუკან** — საამქროს უფროსის მოადგილე.
39. ვასილ პავლეს ძე **ტომჩუკ** — მეთუნუქე.
40. ზალიკო ლევანის ძე **ფოჩხუა** — მხეხავი.
41. სტეფანე ნიკანდროს ძე **ფროლოვი** — საამქროს უფროსის მოადგილე.
42. პავლე ალექსანდრეს ძე **ქავთარაძე** — განყოფილების უფროსის მოადგილე.
43. ნოე აპოლონის ძე **ქარქაშაძე** — საამქროს უფროსის მოადგილე.
44. არუთინ გრიგოლის ძე **ჩემბერჯიანი** — პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.
45. გივი ტრიფონის ძე **ჩიტაიშვილი** — საამქროს უფროსი.
46. ვიანორ ივანეს ძე **ცნობილაძე** — უფროსი მემანქანე.
47. გიორგი ივანეს ძე **ცომაშვილი** — ზეინკალი-ამწყობი.
48. შალვა ვარლამის ძე **ჭოხონელიძე** — საამქროს უფროსი.
49. ივანე იაკობის ძე **ხანტულინი** — მემოქლონე.
50. ნიკოლოზ პეტრეს ძე **ხარკოვსკი** — ელექტრომონტიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

369 ამხ. დ. ბ. ლაშქარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. დავით ბესარიონის ძე **ლაშქარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

370 ამხ. დ. ზ. ცირეკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დავით ზაქარიას ძე **ცირეკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 19 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

371 ამხ. დ. ზ. ქიტიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ამხ. დიმიტრი ზაქარიას ძე **ქიტიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1967 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

372 ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ვ. ი. ლენინის სახელობის ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გიორგი ნიკოლოზის ძე **ამირანაშვილი** — ოსტატი.
2. გიორგი ისიდორეს ძე **გობიანიძე** — ოსტატი.
3. გიორგი სიმონის ძე **დიბლია** — უფროსი ოსტატი.
4. ალექსი სოლომონის ძე **ლალიაშვილი** — განყოფილების უფროსი.
5. ვიქტორ გიორგის ძე **ლაფანაშვილი** — საამქროს უფროსი.
6. დავით ანტონის ძე **ტორჩინავა** — დირექტორის მოადგილე.
7. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ქავთარაძე** — მორიგე ინჟინერი.
8. ქიტესა ალექსის ძე **ჩაჩანიძე** — ზეინკალი.
9. რუბენ მათეს ძე **ჭელიძე** — მემანქანე.
10. ტოგო მირიანის ძე **ხაბეიშვილი** — ლაბორატორიის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

373 ამხ. პ. ვ. ასლანიდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი ამხ. პავლე ვასილის ძე **ასლანიდი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1967 წლის 29 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

374 ამხ. ა. ტ. კინწურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის ა. ს. პუშკინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. აბოლონ ტარასის ძე **კინწურაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** სამადლობელი სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვეტაძე.

თბილისი, 1967 წლის 29 ივნისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა რუსთავის, გორისა და ზესტაფონის სატელეფონო სადგურების ტექნიკურ-საექსპლუატაციო მდგომარეობის საკითხი.

მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. აბუთიძემ. მან აღნიშნა, რომ ამ ქალაქებში უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენადმე გაუმჯობესდა სატელეფონო მომსახურება, სადგურის ტექნიკური აღჭურვილობა, ამოქმედდა ახალი ავტომატური სადგურები რუსთავში — 5.000 ნომრიანი, გორში — 2100 და ზესტაფონში — 1000 ნომრიანი. მაგრამ გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებებიც: სატელეფონო სადგურებში იგრძნობა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ყველგან რაციონალურად არ იყენებენ საკაბელო მეურნეობას, არღვევენ ახალი დანადგარების აღრიცხვისა და განაწილების წესებს; მაგალითად, რუსთავში არ ჰყოფნით მიმყვანი ხაზები, არღვევენ უსაფრთხობის ტექნიკის წესებს, ფერხდება აბონენტთა ნომრების გადაყვანა მეტალურგიული ქარხნის სადგურიდან ქალაქის ახალ სადგურზე.

სატელეფონო ქსელი ქალაქ გორში უთანაბროდ ნაწილდება: ზოგიერთ მიკრორაიონში სრულიად არ არის ტელეფონები, ძალიან ცოტაა ტაქსოფონები, დაბალია მომსახურე პერსონალის მომზადების დონე.

ზესტაფონში მუშაობს ათასნომრიანი ავტომატური სადგური, რომელიც რამდენიმე საქალაქთაშორისო ხაზით უკავშირდება რესპუბლიკის სხვა ქალაქებს. ეს სადგური წარმატებით ემსახურება სოფლებსაც. მაგრამ აქაც არის ნაკლოვანებანი: არ ჰყოფნით კვალიფიციური კადრები, ცალკეული საჰაერო ხაზები გადის რადიოხაზების პარალელურად, რის გამოც ცუდია სმენადობა; ავტომატური სატელეფონო სადგურისა და საქალაქთაშორისო სადგურის შენობებს ესაჭიროებათ კაპიტალური რემონტი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ნ. ჩხეიძე, კომისიის წევრები, დეპუტატები ვ. პისარევა, ვ. ლოგინოვი, ვ. ჯანჯღავა, ი. ქარუმიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ეს საკითხი განსახილველად წარუდგინოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. დადგენილების პროექტის გადასამუშავებლად შეიქმნა ქვეკომისია, რომელშიც შედიან დეპუტატები დ. აბუთიძე, ვ. ნიჟარაძე, ი. ქარუმიძე და კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ნ. ჩხიკვაძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო-განზრახულებათა მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა ქალის საქორწინო ასაკის შეცვლის საკითხი, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინება შრომა-გასწორების კოლონიებისა და სასატიმრო ადგილების დებულების მე-19 მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ.

აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: ბ. ჟღენტმა, ზ. რატიანმა, ვ. მაისურაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ვეფხვაძემ, საზოგადობრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ თ. კოვალჩუკმა, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ, პროფესორებმა: თ. წერეთელმა, ბ. ფურცხვანიძემ, ა. უსტიაშვილმა, დ. ლორთქიფანიძემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ცაგურიამ, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლემ ვ. ჟვანიამ, საქართველოს პროკურატურის განყოფილების უფროსმა ნ. მიქაძემ და სხვებმა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ა. კარანაძემ.

განხილული საკითხების გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეების მუდმივი კომისიის სხდომა დეპუტატ დ. სტურუას თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილის ვ. გაზაევის, სრულიად საკავშირო საქციონერო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველის მოადგილის დ. რუხაძის, აფხაზეთის განყოფილების მმართველის ნ. კემულარიას და აჭარის განყოფილების მმართველის ნ. დოლიძის ინფორმაციები უცხოელი ტურისტების მიღებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ე. სალუქვაძემ, კავშირგაბმულობის მინისტრმა კ. ქავთარაძემ, საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. დუმბაძემ, კომუნალური მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობის მინისტრმა ვ. პაატაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. რობიტაშვილმა, „სოიუზპეჩატის“ უფროსმა ს. ხონელიძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სასტუმროების სამმართველოს უფროსმა ზ. მუჩიაშვილმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდული ორგანიზაციების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ რ. დონაძემ და სხვებმა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა დ. სტურუამ.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და საწარმოო ტანვარჯიშის მდგომარეობის შესახებ.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა დ. იოსელიანმა, გ. სიხარულიძემ, თ. კუპატაძემ, თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნის“ თავმჯდომარემ ვ. ელენტმა, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ბ. თავართქილაძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასა და საწარმოო ტანვარჯიშის საქმეში არსებული მიღწევები და ნაკლოვანებანი.

მუდმივმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 953 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან 74
ქ. რუსთავიდან 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ქუთაისიდან		9
ქ. ჭიათურიდან		35
ქ. ფოთიდან		7
ადიგენის	რაიონიდან	5
ახალციხის	„	8
ახალქალაქის	„	48
ბოგდანოვკის	„	58
ბოლნისის	„	131
ბორჯომის	„	5
გურჯაანის	„	1
გეგეჭკორის	„	36
დუშეთის	„	8
ზუგდიდის	„	32
თელავის	„	9
კასპის	„	18
ლაგოდეხის	„	42
ლანჩხუთის	„	5
ლენტეხის	„	34
მარნეულის	„	140
მახარაძის	„	17
მესტიის	„	18
სამტრედიის	„	19
საჩხერის	„	9
სიღნაღის	„	4
ქარელის	„	4
ყაზბეგის	„	3
ყვარლის	„	30
ჩოხატაურის	„	6
წალკის	„	56
წალენჯიხის	„	5
წითელწყაროს	„	22
წულუკიძის	„	4
ხობის	„	14
სამხრეთ ოსეთის ა/ო		28